

ვიქტორ დინგელმტედტი

კავკასიისა და ქალაქ თბილისის მოსახლეობა

გერმანელმა გეოგრაფმა, ეთნოგრაფმა და მოგზაურმა ვიქტორ დინგელმტედტმა კავკასიაში 1892 წელს იმოგზაურა. თავის მეტად საინტერესო გამოკვლევაში იგი საინტერესო ცნობებს გვაწვდის თბილისი მოსახლეობის ეთნიკურ-რელიგიური შემადგენლობის შესახებ.

Victor Dingelstedt. La population du Caucase et la ville de Tiflis. Extraits d'une communication faite à la Société de géographie de Genève le 27 janvier 1894. – La Globe. Revue genevoise de géographie. Année 1894, 33, pp. 61-89

Les habitants de la Transcaucasie sont encore plus divisés par la nationalité que par la croyance. Dans le nombre de 73 nationalités reconnu par les statistiques, il n'y en a qu'une vingtaine qui dépassent un (65) centième de la population totale. Ces nationalités sont dans l'ordre numérique suivant:

ამიერკავკასიის მოსახლეობა რელიგიაზე მეტად ეროვნების მიხედვითაა დაყოფილი. სტატისტიკური მონაცემებით, 73 აღიარებული ეროვნებიდან მთელი მოსახლეობის ერთ მეასედს მხოლოდ ოციოდე აჭარბებს. ამ ეროვნებების რაოდენობა შემდეგია:

Tatars – 24, 23 %; Arméniens – 19, 96; Imériétiens – 9,00; Géorgiens – 8, 11; Mingréliens et Lazes – 4, 57; Avars – 3, 33; Kourinians – 3, 17; Tates – 2, 65; Russes – 2, 60; Darghis – 2, 28; Kurdes – 2, 13; Ossètes – 1, 63; Gouris – 1,62; Turcs – 1,50; Koumyks – 1,28; Abhazes – 1,27; Adjars – 1, 26; Grecs – 1, 18; Talych – 1,07; Kasikoumych – 1,02:Total: 93.26. (66)

თათრები – 24,23%, სომხები – 19,96%, იმერლები – 9,00%, ქართველები – 8,11%, მეგრელები და ლაზები – 4, 57%, ავარიელები – 3,33%, ხუნძები¹ – 3, 17%, თათები² – 2,65%, რუსები – 2,60%, დარგინები – 2,28%³, ქურთები – 2,13%, ოსები – 1,63%, გურულები – 1,62%, თურქები – 1,50%, კუმიკები⁴ – 1,28%, აფხაზები – 1,27%, აჭარლები – 1,26%, ბერძნები – 1,18%, თალიშები⁵ – 1,07%, ყაზიყუმუხები⁶ – 1,02%, სულ: 93,26%.

Le reste, c'est-à-dire le 6,14% des habitants, est divisé entre 53 nationalités diverses, dont une moitié se trouve dans le Daghestan et constitue des débris intéressants, toujours diminuant de nombre, de ces populations robustes et belliqueuses de montagnards, qui ont opposé pendant plus d'un demi-siècle une si vigoureuse résistance à la domination étrangère. (66)

¹ ავარები – დაღესტნის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხი, რომელიც ანდიელებთან და დიდოელებთან ერთადერთ ჯგუფს ქმნის (თვითწოდება – მარულალ). ისინი ცხოვრობენ დაღესტნის დასავლეთ ნაწილში, მდინარე სულაკის აუზში. მათი ერთი ნაწილი ჭარ-ბელაქანშია ჩასახლებული. აგრეთვე კომპაქტურად სახლობენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ისინი ანწუხისა და კაჭუჭის თავისუფალ მეთემეთა შთამომავალი არიან).

² თათები – ჩრდილოეთ კავკასიაში (დაღესტანში) მცხოვრები პატარა ხალხი. ისინი აგრეთვე ცხოვრობენ აზერბაიჯანსა და ირანში. თათების თავდაპირველი განსახლების არეალია ირანი. აქ თათები ირანის მთიანეთის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, თეირანსა და ყაზვინს შორის გაბნეულად არიან განსახლებულნი.

³ დარგინები (თვითსახელწოდება დარგანტი) – დაღესტანში მცხოვრები კავკასიის ერთ-ერთი ძირძველი ხალხი.

⁴ კუმიკები – დღევანდელი დაღესტნის, ჩეჩნეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის ერთ-ერთი ძირძველი, ყველაზე მრავალრიცხოვანი თურქულენოვანი ხალხი ჩრდილოეთ კავკასიაში.

⁵ თალიშები – აზერბაიჯანის სამხრეთსა და ირანის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრები კავკასიის ერთ-ერთი უძველესი ერი.

⁶ ლაკები (ან ყაზიყუმუხები) – დაღესტნის ერთ-ერთი მკვიდრი ხალხი.

მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი ანუ 6,14% დაყოფილია 53 ეროვნებას შორის, რომელთა ნახევარი ცხოვრობს დაღესტანში და ამ ძლიერი და მეზობლი მთიელების საინტერესო ნაშთს წარმოადგენს, რომელიც მცირდება და რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს უწყვედა ასე შეუპოვარ წინააღმდეგობას უცხოელთა ბატონობას.

On compte à Tiflis environ dix mille maisons, presque toutes en briques ou en pierres. Dans la plupart des grandes rues le plain-pied est occupé par des boutiques souvent ouvertes et dont le nombre est évalué à presque quatre mille. (70)

თბილისში დაახლოებით 10,000 სახლია, ისინი თითქმის ყველა აგურისაა ან ქვის. მთავარი ქუჩების უმეტეს ნაწილზე ქუჩის დონეზე მდებარე პირველი სართული ხშირად ღია დუქნებს უჭირავს, რომელთა რაოდენობა დაახლოებით 4,000.

Il y a à Tiflis soixante-douze églises et chapelles, dont soixante-sept appartiennent aux cultes chrétiens orthodoxe-grec et arménien-grégorien. (71)

თბილისში არის 72 ეკლესია და სამლოცველო, მათგან 67 ბერძნულ-მართლმადიდებელ და სომხურ-გრეგორიანულ კულტებს ეკუთვნის.

La population de Tiflis a été estimée dernièrement à 145,736 habitants, garnison comprise; elle n'était que de 104,025 en 1876; il y a donc eu en quinze ans un accroissement de 41,000 habitants. La proportion des hommes aux femmes est de 56 à 44; il y a donc 81,000 habitants du sexe masculin pour 64,000 du sexe féminin. Ces chiffres, tout en étant officiels, ne doivent pourtant être acceptés que sous réserve; le dénombrement exact des populations du Caucase présente encore de grandes difficultés. De plus, il existe à Tiflis une nombreuse population flottante d'ouvriers. Dans toutes les nationalités de Tiflis le nombre d'hommes l'emporte sur celui des femmes, mais la proportion varie beaucoup: elle est la plus favorable chez les Russes et les Géorgiens, où elle est représentée par 52 pour 48 et 56 pour 44, et la moins favorable chez les Mingréliens et les Imérétiens; chez les premiers il n'y a que 23 femmes pour 77 hommes et chez les seconds 19 femmes pour 81 hommes (74).

თბილისის მოსახლეობა, გარნიზონის ჩათვლით, ბოლო დროის შეფასებით 145,736 სულია, 1876 წელს კი მხოლოდ 104,025 იყო; ამგვარად, თხუთმეტი წლის განმავლობაში ის 41,000 სულით გაიზარდა. კაცებსა და ქალებს შორის თანაფარდობა არის 56/44-თან, ანუ 81,000 მამაკაცზე 64,000 ქალი მოდის. თუმცა ეს ციფრები ოფიციალურია, ისინი მაინც პირობითად უნდა მივიღოთ, რადგან კავკასიის მოსახლეობის ზუსტი აღწერა კვლავ დიდ სირთულეს წარმოადგენს. ამას გარდა, თბილისში დროებითი მუშების დიდი ნაკადია. თბილისში მყოფ ყველა ეროვნებაში კაცების რაოდენობა ქალებისას სჭარბობს, მაგრამ ეს პროპორცია ძლიერ ცვალებადია: ის უფრო ხელსაყრელია რუსებსა და ქართველებს შორის, სადაც პირველ შემთხვევაში 52 კაცზე 48 ქალი, მეორეში კი 56 კაცზე 44 ქალი მოდის; ის ნაკლებად სასიკეთოა მეგრელებისა და იმერლებისათვის; პირველთა შორის 77 კაცზე 23, ხოლო ამ უკანასკნელებში 81 კაცზე 19 ქალი მოდის.

Le même phénomène se reproduit pour toutes les classes de la société et les représentants de toutes les confessions religieuses, mais il est surtout prononcé pour les paysans habitant Tiflis, dont le nombre du sexe masculin est deux fois aussi grand que celui du sexe féminin. Cette disproportion très caractéristique n'est certainement pas sans influence sur les mœurs des habitants, qui sont fort relâchées. (75)

იგივე ფენომენი ვლინდება საზოგადოების ყველა ფენისა და ყველა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლებს შორის, მაგრამ განსაკუთრებით მკვეთრად ეს თბილისში მცხოვრებ გლეხებს ეხებათ, რომელთა რაოდენობა ქალებზე ორჯერ მეტია. ეს ძალზე

დამახასიათებელი დისბალანსი უთუოდ ახდენს გავლენას მოსახლეობის ზნეობაზე, რომელიც ძალიან შესუსტებულია.

Au point de vue des nationalités, la population de Tiflis est très mélangée, mais le gros des habitants est partagé entre trois nationalités dont les Arméniens sont les plus nombreux, allant d'après les différents calculs officiels depuis le 36,2 % jusqu'au 47,7 % du total ; viennent ensuite les Géorgiens avec d'autres tribus cartéveliannes, qui comptent depuis le 21,4 % jusqu'au 25,9 % du total, et enfin les Russes avec les Bulgares, Tchèques et Slovaques, dont le nombre est estimé approximativement entre 18,2 % et 29,7 % du total. Il reste donc environ 12 ou 13 % de la population appartenant à d'autres nationalités, parmi lesquelles les Tatares, les Allemands, les Polonais, les Persans et les Juifs donneraient le contingent le plus considérable. En comparant cette division en nationalités des habitants de Tiflis avec celle de la Transcaucasie entière on voit que les Tatares et les tribus montagnardes ne sont guère portés à habiter la ville et que ce sont les Arméniens et les Russes qui, pour divers motifs, se concentrent dans le chef-lieu du Caucase, les premiers à cause de leur aptitude commerciale, les seconds à cause de leur situation privilégiée, comme maîtres du pays et leur qualification pour le service dans l'administration (75).

ეროვნების თვალსაზრისით, თბილისის მოსახლეობა ძალიან შერეულია, მაგრამ მისი დიდი ნაწილი სამ ეროვნებას შორის იყოფა, რომელთაგან ყველაზე მრავალრიცხოვანი სომხები არიან, რაც სხვადასხვა ოფიციალური გაანგარიშებების მიხედვით, საერთო რაოდენობის 36,2-დან 47,7 პროცენტამდეა; შემდეგ მოდიან ქართველები სხვა ქართველურ ტომებთან ერთად, რომლებიც შეადგენენ საერთო რაოდენობის 21,4-25,9 პროცენტს; დაბოლოს, რუსები ბულგარელებთან, ჩეხებთან და სლოვაკებთან ერთად საერთო რაოდენობის დაახლოებით 18,2%-დან 29,7 პროცენტამდე არიან. ამგვარად, რჩება სხვა ეროვნების მოსახლეობის დაახლოებით 12-13 პროცენტი, რომელთა შორის ყველაზე დიდ კონტინენტს თათრები, გერმანელები, პოლონელები, სპარსელები და ებრაელები ქმნიან. თუ თბილისის მოსახლეობის ეროვნების მიხედვით დაყოფას მთელი ამიერკავკასიისას შევადარებთ, დავინახავთ, რომ თათრებსა და მთიელთა ტომებს არ აქვთ ქალაქში ცხოვრებისადმი მიდრეკილება და კავკასიის მთავარ ქალაქში სხვადასხვა მიზეზის გამო სომხები და რუსები არიან კონცენტრირებული; პირველნი კომერციული მიდრეკილებების, რუსები კი ქვეყნის პატრონების პრივილეგირებული მდგომარეობისა და ადმინისტრაციაში სამსახურის თავიანთი კვალიფიკაციის გამო.

Bien que Tiflis fût considérée comme la capitale de l'ancienne Géorgie, le nombre de Géorgiens y fut pourtant toujours inférieur à celui des Arméniens, ce qui tient à l'organisation féodale de l'État de Géorgie, au peu de dispositions des Géorgiens pour la vie des villes et à l'obligation dans laquelle se sont trouvés ses princes ou tavada de vivre dans leurs domaines et au milieu de leurs vassaux, toujours prêts à se battre avec leurs voisins ou contre l'ennemi du dehors. (76)

თუმცა თბილისი ძველი საქართველოს დედაქალაქად ითვლებოდა, ქართველების რიცხვი იქ მუდამ უფრო მცირე იყო, ვიდრე სომხების; ეს უკავშირდება საქართველოს სახელმწიფოს ფეოდალურ მოწყობას, ქალაქებში ცხოვრების მიმართ ქართველების სურვილის არქონას, თავადების თავიანთ მამულებში ვასალებს შორის ყოფნის ვალდებულებას და მეზობლებისა თუ გარეშე მტრის წინააღმდეგ მუდმივ საბრძოლო მზადყოფნას.

Au point de vue de l'apparence physique des habitants, la beauté des races caucasiennes est bien connue; aussi rencontre-t-on à Tiflis nombre de jolies femmes fort gracieuses et de robustes gaillards bien taillés, aux traits réguliers et expressifs. Les Géorgiens, qui sont plus beaux que les Arméniens, ont une grâce et une élégance naturelle remarquable, de beaux yeux et le nez très saillant. Ils sont presque

tous bruns et ont la peau bazanée. La beauté féminine est très passagère; les femmes vieillissent vite, ainsi du reste que les hommes, et il y a vraiment un contraste frappant entre la beauté des enfants et des jeunes personnes et la laideur souvent hideuse des vieux. On n'a pas l'âge mûr prolongé et le manque de culture intellectuelle empêche les personnes ayant perdu la fraîcheur de la jeunesse de garder encore quelque chose de cette beauté qui est l'apanage d'un esprit et d'une âme élevés. (82)

მოსახლეობის გარეგნობის თვალსაზრისით, კავკასიური რასის სილამაზე კარგადაა ცნობილი; ამიტომ ვხედავთ თბილისში მრავალ მეტად მოხდენილ, ლამაზ ქალს და კარგი აღნაგობის ღონიერ ახალგაზრდა ვაჟებს სწორი და მეტყველი სახის ნაკვეთებით. სომხებზე უფრო ლამაზ ქართველ კაცებს, ბუნებრივად მოხდენილებსა და ელეგანტურებს, ლამაზი თვალები და მეტად გამოკვეთილი ცხვირი აქვთ. ისინი თითქმის ყველანი შავგვრემნები არიან. ქალების სილამაზე ძალიან წარმავალია, ისინი ადრე ბერდებიან, ისევე, როგორც კაცები და მართლაც, მკვეთრი კონტრასტია ბავშვებისა და ახალგაზრდების სილამაზესა და მოხუცების ხშირად ამაზრზენ სიმახინჯეს შორის. ადამიანს იქ არ აქვს გახანგრძლივებული საშუალო ასაკი, ხოლო ახალგაზრდული სინორჩის დაკარგვის შემდეგ ინტელექტუალური კულტურის უქონლობა ხელს უშლის სილამაზის რაღაც ნაწილის შენარჩუნებას, რაც მაღალი ზნეობისა და სულიერების პრეროგატივაა.

Les femmes tatares et quelques Arméniennes se (83) couvrent du tchadra, mais cette vieille mode passe pour les chrétiennes, et on voit les femmes à Tiflis adopter de plus en plus les modes de Paris ou celles qu'on leur présente comme telles.

თათარი და ზოგიერთი სომეხი ქალი ჩადრში ეხვევა, მაგრამ ქრისტიანი ქალებისთვის ეს ძველი მოდა დამთავრდა და ვხედავთ, რომ თბილისელი ქალები სულ უფრო ითავისებენ პარიზულ მოდას ან იმას, რომელსაც მათ ასეთად წარუდგენენ.

Les Tatares, les Persans et d'autres peuplades non-chrétiennes n'étant pas très nombreux à Tiflis, je ne m'arrêterai pas sur les particularités qui les distinguent et je ferai observer seulement que les Persans sont plus gracieux que les Tatares, que ni les uns ni les autres ne manquent d'une certaine dignité et de calme apparent, ni même d'affabilité, qui disposent en leur faveur, mais auxquels il est dangereux de se fier. Ils ont la hâte en horreur et celui qui se hâte est sûr de perdre leur estime. Ils mettent une lenteur calculée dans tout ce qu'ils font et cette lenteur leur étant habituelle et constituant l'élément essentiel de la dignité du maintien telle qu'ils la conçoivent, contient en même temps beaucoup d'astuce. En faisant lentement les choses un Tatar ne perd pas pour cela son temps, il observe et il épie son homme, il cherche à découvrir ses intentions secrètes, le défaut de son armure et il n'est pas lent à en profiter à son avantage. Les Persans sont considérés comme étant très habiles dans le commerce, mais le monde étant pressé, il semble que leur manière de procéder ne soit plus la meilleure. Ils ont aussi la vérité en horreur. (84)

თბილისში არც თუ ისე მრავალრიცხოვანი არიან თათრები, სპარსელები თუ სხვა არაქრისტიანი ხალხები და მათ განმასხვავებელ თავისებურებებზე არ შევჩერდები; მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ სპარსელები თურქებზე უფრო თავაზიანები არიან, რომ არც ერთ მათგანს არ აკლია გარკვეული ღირსება და მოჩვენებითი სიმშვიდე, თბილი მოპყრობაც კი, რაც მათ სასარგებლოდ განგაწყობს, მაგრამ რომელთა ნდობაც საშიშია. მათ სძულთ სიჩქარე და ის, ვინც ჩქარობს, ნამდვილად კარგავს მათ პატივისცემას. ისინი ყველაფერს გაანგარიშებულად ნელა აკეთებენ და მათთვის ჩვეული ეს სინელე, რომელიც მათი წარმოდგენით ღირსების შენარჩუნების განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს, ამავე დროს უამრავ მზაკვრობას შეიცავს. საქმის ნელა კეთებაზე თათარი დროს არ კარგავს, ის აკვირდება და უთვალთვალავს თავის მსახურს, ცდილობს ჩასწვდეს მის ფარულ განზრახვას, მის ნაკლს და არ დააყოვნებს ამის

თავის ინტერესებში გამოყენებას. ითვლება, რომ სპარსელები ვაჭრობაში ძალიან გაწაფულები არიან, მაგრამ რადგან მსოფლიო ჩქარობს, ისე ჩანს, რომ მათი მუშაობის წესი უკვე აღარ არის საუკეთესო. ამას გარდა, მათ სძულთ სიმართლე.

Il y a une différence à établir entre la femme géorgienne et l'arménienne; cette dernière, moins gracieuse et moins indolente, est de beaucoup la meilleure ménagère, aussi les Arméniens font-ils généralement meilleur ménage. La femme tatare est soumise au régime du harem, elle n'a presque pas conscience de la responsabilité personnelle, elle est plutôt une chose qu'un être moral, mais sa réclusion n'empêche pas qu'elle ne soit gaie et souvent même intelligente. (86).

ქართველ და სომეხ ქალებს შორის არის განსხვავება; ნაკლებად მოხდენილი და ნაკლებად ზარმაცი სომეხი ქალი უდავოდ გაცილებით უკეთესი დიასახლისია და ამიტომ, ჩვეულებრივ, სომეხები უკეთესად უძღვებიან ოჯახს. თათარი ქალი ჰარამხანის რეჟიმს ექვემდებარება, ის თითქმის არ აღიქვამს პირად პასუხისმგებლობას, ის უფრო ნივთია, ვიდრე ზნეობრივი არსება, მაგრამ მისი კარჩაკეტილობა მას ხელს არ უშლის, იყოს მხიარული და ხშირად ჭკვიანიც კი.

La Russie est bien parvenue à russifier les couches supérieures de la société de l'ancienne capitale de la Géorgie, en ce qui concerne au moins les apparences et du reste les Russes eux-mêmes forment un contingent considérable. Les indigènes de marque, femmes et hommes, abandonnent de plus en plus leurs costumes nationaux, et avec les modes de Paris, on accepte aussi, si ce n'est l'esprit, du moins les apparences de la vie occidentale. Contrairement au système anglais, la bureaucratie russe a largement ouvert ses rangs aux indigènes, qu'on trouve à Tiflis à toutes les échelles de l'administration civile et militaire. Je ne sais si la bureaucratie russe a gagné quelque chose par cette infusion de sang nouveau, mais le principe est juste et les indigènes, qui comptent dans leur milieu des gens très capables, se rendent certainement utiles au gouvernement, grâce à leur meilleure connaissance des idiomes et des usages du pays (86).

რუსეთმა წარმატებით შეძლო საქართველოს ძველი დედაქალაქის უმაღლესი ფენის რუსიფიკაცია, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც და ამასთან, თვითონ რუსებიც მნიშვნელოვან კონტინენტს შეადგენენ. ადგილობრივი ცნობილი ადამიანები, ქალები და კაცები, სულ უფრო მეტად ამბობენ უარს თავიანთ ეროვნულ სამოსზე და პარიზულ მოდასთან ერთად სულისკვეთებას თუ არა, დასავლური ცხოვრების იერს მაინც იღებენ. ინგლისური სისტემისგან განსხვავებით, რუსულმა ბიუროკრატამ თავის რიგებში ფართოდ გაუღო კარი თბილისში მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას, რომელთაც თბილისში სამოქალაქო თუ სამხედრო სამსახურის ყველა დონეზე შეხვდები. მე არ ვიცი, რა მოიგო რუსულმა ბიუროკრატამ ამ ახალი სისხლის გადასხმით, მაგრამ პრინციპი სწორია და ადგილობრივ მოსახლეობას, რომელთა შორის მეტად უნარიანი ადამიანები არიან, მთავრობისთვის უთუოდ მოაქვთ სარგებლობა ადგილობრივი იდიომებისა და წეს-ჩვეულებების უკეთ ცოდნის წყალობით.

Il est bien probable d'un autre côté que, malgré leur infériorité de nombre (88), certains peuples caucasiens et notamment les Arméniens sont appelés à exercer quelque influence sur le caractère très complexe de la nation russe. Les Arméniens sont parvenus déjà à acquérir de très hautes positions dans l'administration civile et militaire et dans les différentes branches de l'activité industrielle, commerciale et financière de la Russie. Après avoir fait une longue école d'épreuves, l'Arménien a acquis un caractère bien trempé et, servi de l'instruction qu'on met maintenant à sa portée, il peut bien compter de pouvoir exercer son activité avec d'autant plus de succès que le milieu russe, comme le milieu géorgien, où il est appelé à agir est en somme pauvre de fortes individualités. En tout cas c'est l'Arménien qui est

devenu le vrai maître du chef-lieu du Caucase; il en a accaparé les richesses, et avec ses qualités de persévérance, d'industrie et d'économie il n'a qu'à s'instruire pour rendre Tiflis, avec l'appui éclairé du gouvernement russe, une des villes de la Russie les plus jolies et les plus prospères. Ainsi soit-il (89).

მეორე მხრივ, სავსებით შესაძლებელია, რომ მცირერიცხოვნების მიუხედავად, ზოგიერთი კავკასიელი ხალხი, კერძოდ სომხები, მოწოდებულნი არიან, რომ გარკვეული გავლენა იქონიონ რუსი ერის მეტად რთულ ბუნებაზე. სომხებმა უკვე მოახერხეს ძალზე მაღალი თანამდებობების დაკავება რუსეთის სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაციაში, აგრეთვე სამრეწველო, სავაჭრო და ფინანსური საქმიანობის სხვადასხვა დარგში. გაჭირვების ხანგრძლივი სკოლის გავლის შემდეგ, სომხის ხასიათი გამოიზრდმედა და ამჟამად მისთვის ხელმისაწვდომი ცოდნის გამოყენებით მას სავსებით შეუძლია ჰქონდეს, თავისი საქმიანობის კიდევ უფრო წარმატებით განხორციელების იმედი, რადგან რუსული გარემო, ისევე, როგორც ქართული, სადაც ის სამოქმედოდაა მოწოდებული, საერთო ჯამში, ღარიბია ძლიერი პიროვნებებით. როგორც არ უნდა იყოს, სწორედ სომეხი გახდა კავკასიის დედაქალაქის ნამდვილი ბატონი; მისი სიმდიდრის თავის ხელში მოქცევით და თავისი თვისებებით – შეუპოვრობით, მოხერხებულობით, მომჭირნეობით, მან მხოლოდ ის უნდა ისწავლოს რუსეთის განათლებული მთავრობის მხარდაჭერით, თუ როგორ გადააქციოს თბილისი რუსეთის ერთ-ერთ ულამაზეს და მეტად აყვავებულ ქალაქად. დაე, ასე იყოს!⁷

თარგმნა ირინე ნაჭყერბიამ

⁷ Victor Dingelstedt. La population du Caucase et la ville de Tiflis. Extraits d'une communication faite à la Société de géographie de Genève le 27 janvier 1894. – La Globe. Revue genevoise de geographie. Année 1894, 33, pp. 61-89.